



პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 17

2016წ. "28" _____ 07

ქ.თბილისი

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204859634) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 416-ით.
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №8 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის

გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორი	მესამე	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორი	მეოთხე	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორი	მეხუთე	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4	სასტუმროს საქმისმწარმოებელი	მესამე	სასტუმროს საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
5	სასტუმროს საქმისმწარმოებელი	მეოთხე	სასტუმროს საქმისმწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
6	სასტუმროს საქმისმწარმოებელი	მეხუთე	სასტუმროს საქმისმწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
7	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე	60

			საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	
8	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მეოთხე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
9	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მეხუთე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
10	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (ბუღალტერ-მონაგარიშე)	30
11	ბუღალტერი	მეოთხე	ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (ბუღალტერ-ტექნიკოსი)	30
12	ბუღალტერი	მეხუთე	ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (ბუღალტერი)	30